12.

ფაკულტეტი: საზოგადოებრივ მეცნიერებათა

Faculty: Public Sciences

მიმართულება: სამართალი - Law 06

საბაკალავრო პროგრამა: სამართლი

მისანიჭებელი კვალიფიკაცია: სამართლის ბაკალავრი

Bachelor of Law

პროგრამის ხელმძღვანელი: ლევან მოსახლიშვილი, სამართლის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება
სამართალი - Law

მიმართულება
სამართალი - Law 06

ფაკულტეტი
საზოგადოებრივ მეცნიერებათა ფაკულტეტი

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური
პირველი საფეხური, ბაკალავრიატი

საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი
აკადემიური

სწავლების ენა

საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება მიმდინარეობს ქართულ ენაზე.

პროგრამის მოცულობა კრედიტებით
საბაკალავრო პროგრამა აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, სტუდენტზეა ორიენტირებული და ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა სასწავლო პროგრამის მიზნების მისაღწევად. პროგრამის გეგმური ხანგრძლივობა 4 აკადემიური წელი, ანუ 8 სემესტრია და მოიცავს 240 კრედიტს. 1 კრედიტი = 25 ასტრონომიულ საათს, 1 ასტრონომიული საათი = 60 წთ. კრედიტი დროის ერთეულში (სთ.) ასახავს სამუშაოს იმ მოცულობას, რომელიც საჭიროა სტუდენტის მიერ პროგრამის ერთი კომპონენტის ასათვისებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად. კრედიტი ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას. საბაკალავრო პროგრამის საერთო მოცულობაა 240 ECTS კრედიტი = 6000 სთ. სემესტრის განმავლობაში სტუდენტმა სასურველია დაძლიოს საშუალოდ 30 კრედიტი (30 კრედიტი = 750 სთ.), ხოლო წელიწადში - 60 კრედიტი. პროგრამის განხორციელების სპეციფიკიდან და სტუდენტის ინდივიდუალური დატვირთვიდან გამომდინარე, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა. საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტის დატვირთვა ითვალისწინებს საკონტაქტო და დამოუკიდებელ მუშაობას და მოიცავს: სასწავლო კურსებს (ლექციები, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, ინდივიდუალური და ჯგუფური დამოუკიდებელი მუშაობის, შუალედური და საბოლოო გამოცდების მომზადება-ჩაბარების ფორმატით); ***<u>შენიშვნა:</u>*** *იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ვერ შეძლებს 4 აკადემიური წლის,ანუ 8 სემესტრის განმავლობაში პროგრამის სავალდებულო კომპონენტების დაძლევას და მინიმუმ 240 კრედიტის მოპოვებას, მას ეძლევა შესაძლებლობა 4 (ოთხი) დამატებითი სემესტრის განმავლობაში ამოწუროს პროგრამა და მოიპოვოს აკადემიური ხარისხი.* სამართლის საბაკალავრო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტის მომზადებაზე იურისტის რეგულირებადი პროფესიისათვის და

სამართლის მიმართულებით ბაკალავრის საქმიანობისთვის საჭირო ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების გამომუშავებაზე, საქართველოს კანონმდებლობით, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოსა და სამართლის საგანმანათლებლო პროგრამების დარგობრივი მახასიათებლით დადგენილ კომპეტენციათა დონის გათვალისიწნებით.

აღნიშნულის უზრუნველსაყოფად საბაკალავრო პროგრამის არანაკლებ 80% ეთმობა იურისტის რეგულირებადი პროფესიისათვის აუცილებელი კომპეტენციების გამომუშავებას.

პროგრამა ითვალისწინებს სამართლის მიმართულების შემადგენელი ინსტიტუტების შესახებ ფართო ცოდნის ჩამოყალიბებას, სისხლის/საჯარო სამართლის დარგის (სპეციალობის) ინსტიტუტებში სტუდენტის სიღრმისეული გაცნობიერების უზრუნველყოფას მისი ინდივიდუალური აკადემიური ინტერესების გათვალისიწნებით, ასევე, აქტუალური ზოგადი კომპეტენციების ფორმირებას.

პროგრამა ითვალისწინებს საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსების (საგნების) სწავლებას, რომელიც ორიენტირებულია ზოგადი კომპეტენციების გამომუშავებაზე. პროგრამაში გათვალისწინებულია სამართლის მიმართულების სავალდებულო კომპონენტი, რომელიც სამართლის მიმართულების შესახებ ძირითადი ფართო ცოდნის საკითხებს მოიცავს, რომელიც ორიენტირებულია სამართლის ბაკალავრის პრაქტიკული საქმიანობისათვის აუცილებელი ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების გამომუშავებისაკენ. კერძოდ, წარმოდგენილია სასწავლო კურსები, რომელიც მიმოიხილავს სამართლის მიმართულებას მთლიანობაში, მისი შემადგენელი ელემენტებით (კერძო, სისხლის, საერთაშორისო და საჯარო სამართლის მთავარი ინსტიტუტები და მათი სისტემური კავშირები). პროგრამა სტუდენტს ასევე არჩევით დონეზე სთავაზობს ინდივიდუალურ აკადემიური ინტერესების შესაბამის კურსებს სამართლის მიმართულების უფრო დეტალურად შესწავლისათვის.

პროგრამაში სისხლის/საჯარო სამართლის სპეციალობაში ფართო ცოდნის მიღება უზრუნველყოფილია სისხლის/საჯარო სამართლის კონცენტრაციის ბლოკით, რომლის ფარგლებში სტუდენტი, შეძენილი ფართო სისტემური ცოდნის გაღრმავებას ახდენს სისხლის/საჯარო სამართლის მატერიალური და პროცესუალური ინსტიტების სიღრმისეული შესწავლით, როგორც თეორიულ - დოქტრინული ხასიათის, ასევე არსებული პრაქტიკის გამშუქებელი დისციპლინების ორგანიზებული არჩევის შედეგად.

სწავლის პროცესში შეძენილი ცოდნის გაერთიანებას, აქტუალიზაციასა და პრაქტიკული ამოცანის გადასაწყვეტად რეალიზებისათვის სტუდენტის მომზადებას ემსახურება პრაქტიკული კომპონენტი (სამართლის კლინიკა).

ინსტრუმენტალური, კომუნიკატიური უნარების განმავითარებელ საკითხებს მოიცავს ბაკალავრის პრაქტიკული საქმიანობის ხელშემწყობი სავალდებულო სასწავლო კურსები – ინგლისური ენა, მათ შორის დარგობრივ კონტექსტში, აკადემიური წერა, ინფორმატიკა და თავისუფალი კომპონენტი - რომლის მოცულობის ფარგლებში სტუდენტს შეუძლია დამოუკიდებლად აითვისოს ნებისმიერი საუნივერსიტეტო სასწავლო კურსებუ, მათ შორის სამართლის სასწავლო კურსები.

სხვადასხვა სასწავლო კურსების არჩევით ხდება სტუდენტს ინდივიდუალური აკადემიური პროფილის ფორმირება.

საბაკალავრო პროგრამის კომპონენტები მიმართულია პროგრამაში დასახული მიზნების მიღწევასა და სწავლის შედეგად ბაკალავრის კომპეტენციების ჩამოყალიბებაზე. მისაღწევი კომპეტენციების ფორმირების თანმიმდევრობა, მათი ევოლუცია განსაზღვრავს საბაკალავრო პროგრამის შინაარსს, სტრუქტურას და აისახება სასწავლო გეგმაში.

სამართლის არჩევითი კომპონენტები მოიცავს **სამართლის მიმართულების არჩევით**, **სისხლის სამართლის სპეციალობაში კონცენტრაციის არჩევით** და **საჯარო სამართლის სპეციალობაში კონცენტრაციის არჩევით** სასწავლო კურსებს .

სასწავლო კურსების გავლა ხდება საბაკალავრო პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით, რომლის სემესტრული გეგმა ითვალისწინებს ასარჩევი სასწავლო კურსების კრედიტების მოცულობას, ასარჩევი კურსების კატეგორიას/კატეგორიებს და, არსებობის შემთხვევაში, შესწავლის წინაპირობებს.

სამართლის მიმართულების არჩევითი და **სისხლის/საჯარო სამართლის სპეციალობაში კონცენტრაციის არჩევითი** სასწავლო კურსების შეთავაზება ხდება კონკრეტული სემესტრიდან, აღნიშნული მაპროფილებელი სასწავლო კურსების პრერეკვიზიტების შესწავლის უზრუნველსაყოფად. პრერეკვიზიტი სასწავლო დისციპლინის ათვისების შემდეგ, სტუდენტი უფლებამოსილია აირჩიოს მიმართულების ან/და სპეციალობაში კონცენტრაციის არჩევითი სასწავლო კურსების სწავლის მთელი დარჩენილი პერიოდის განმავლობაში, ნებისმიერ სემესტრში.

პროგრამა ასევე ითვალისწინებს თავისუფალ კომპონენტს, სტუდენტს შეუძლია აირჩიოს ნებისმიერი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამიდან, არჩევანის ერთადერთ შეზღუდვას წარმოადგენს სასწავლო კურსის შესწავლის წინაპირობის არსებობა. აღნიშნულ შეთხვევაში სტუდენტი ასევე უფლებამოსილია სათანადო წინაპირობების დაცვით შეისწავლოს სასურველი სასწავლო კურსები, წინამდებარე პროგრამით გათვალისიწნებული სამართლის არჩევითი სასწავლო კურსების მოცულობით.

სტუდენტი გადის პრაქტიკულ კომპონენტს სამართლის კლინიკას სპეციალობაში წინამდებარე პროგრამითა და სილაბუსით დადნილი წესის შესაბამისად.

სავალდებულო კომპონენტები: 165 კრედიტი, მათგან: **სასწავლო 160 კრედიტი**

- *საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები* 30 კრედიტი
- *სამართლის მიმართულების სავალდებულო სასწავლო კურსები* 130 კრედიტი

სამართლის კლინიკის კომპონენტი 5 კრედიტი

სამართლი არჩევითი კომპონენტები: 60 კრედიტი

- *სამართლის მიმართულების არჩევითი სასწავლო კურსები*
- *სისხლის სამართლის/საჯარო სამართლის სპეციალობის კონცენტრაციის არჩევითი სასწავლო კურსები*

სამართლის არჩევითი კომპონენტის ფარგლებში, სტუდენტმა მინიმუმ 40 კრედიტი უნდა აირჩიოს სისხლის ან საჯარო სამართლის სპეციალობის კონცენტრაციიდან.

თავისუფალი კომპონენტი 15 კრედიტი.

მისანიჭებელი კვალიფიკაცია/აკადემიური ხარისხი

სამართლის ბაკალავრი

Bachelor of Law

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

წინამდებარე პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს სრული ზოგადი ან კანონმდებლობით დადგენილი წესით მასთან გათანაბრებული განათლების მქონე პირს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე ან ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ნორმატიული აქტით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

პროგრამაზე სწავლის უფლება შეუძლია მოიპოვოს სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის სხვა ფაკულტეტის ან სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტმა შესაბამისად შიდა/გარე მობილობის საფუძველზე საქართველოს კანონმდებლობის და სუხიშვილის სასწავლო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირების წესების მოთხოვნებისა და ვადების შესაბამისად.

პროგრამის მიზანი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია ქვეყნისა და რეგიონის შრომის ბაზარზე მოთხოვნადი და კონკურენტუნარიანი, ბა-კალავრის აკადემიური ხარისხის მქონე სპეციალისტის მომზადება სამართალში სისხლის სამართლის/საჯარო სამართლის სპეციალობით, რომელსაც ექნება როგორც სამართლის მიმართულების ყველა ინსტიტუტის ფართო, ასევე სისხლის სამართლის/საჯარო სამართლის დარგის არსებული ინსტიტუტების სიღრმისეული ცოდნა.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია ეროვნული სამართლის სისტემის საერთო სტრუქტურისა და

საერთაშორისო სამართლის სისტემის, სამართლის დარგებს შორის ურთიერთმიმართების, სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, მისი პრინციპების, ინსტიტუტების, მატერიალური და პროცესუალური ნორმების, ძირითადი სამართლებრივი თეორიებისა და მეთოდების შესახებ კრიტიკულად გააზრებული ცოდნისა და პრაქტიკოსი იურისტისათვის აუცილებელი პრაქტიკული და ანალიტიკური უნარების ფართო სპექტრის გამომუშავებაზე, როგორც სამართლის მიმართულების, ასევე სისხლის სამართლის/საჯარო სამართლის ინსტიტუტების ფარგლებში. პროგრამა მოწოდებულია გაიაზროს სამართლის ბაკალავრის კვალიფიკაციის მფლობელისადმი წაყენებული, არსებული შრომის ბაზრის გამოწვევები და აკადემიურ კონტექსტში, შრომის ბაზრისა და სამართალშემოქმედ ძირითად ინსტიტუციებთან უწყვეტ კავშირში უზრუნ-ველყოს პირისათვის პროფესიულ და აკადემიურ კონტექსტში აქტუალური უნარების ფორმირება. პროგრამის მიზანია ისეთი კადრების მომზადება, რომლებიც შეძლებენ დასაქმდნენ საჯარო სექტორში საჯარო/სისხლის სამართლის მიმართულებით.

სწავლის შედეგები	
ცოდნა და გაცნობიერება	აქვს ეროვნული სამართლის სისტემის ძირითადი თავისებურებების, პრინციპებისა და ინსტიტუტების ფართო, ხოლო საჯარო ან სისხლის სამართლის - სიღრმისეული ცოდნა. გაცნობიერებული აქვს სამართლის არსი და სამართლის ფუნდამენტური პრინციპების მნიშვნელობა სამართლებრივი სისტემის ფორმირებისათვის. კურსდამთავრებულმა იცის: განმარტების მეთოდები; საჯარო სამართლის საფუძვლები, სახელმწიფო მოწყობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხები; ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები; საერთაშორისო საჯარო სამართლის ძირითადი პრინციპები; სახელშეკრულებო და კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები; ქონებრივი სამართალი; შრომის სამარ-თალი; სამეწარმეო სამართალი; ადმინისტრაციული სამართლის არსი და პრინციპები; დანაშაულის არსი, სახეები და სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის თავისებურებები; სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართალწარმოება; ქართული სამართლის ისტორიული წყაროები.
ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი	აქვს სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირების, მათი გადაწყვეტისათვის ნორმატიული საფუძვლების მოძიების, განმარტებისა და გამოყენების უნარი. შეუძლია იურიდიული შინაარსის დოკუმენტების (ნორმატიული აქტის პროექტის, ხელშეკრულების, საჩივრის, სარჩელის და ა.შ.) შედგენა.

დასკვნის უნარი	აქვს სამართლებრივი პრობლემის მრავალმხრივი ხედვისა და ანალიზის საფუძველზე მისი გადაწყვეტის თეზისის განვითარებისა და შერჩეული მიდგომის დასაბუთების უნარი.
კომუნიკაციის უნარი	აქვს ინფორმაციის მშობლიურ და ინგლისურ ენებზე მოძიების და იურიდიული ტერმინოლოგიის გამოყენებით ზეპირი და წერილობით ფორმით გადაცემის უნარი. აქვს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების უნარი.
სწავლის უნარი	აქვს საკანონმდებლო ცვლილებების, სასამართლო პრაქტიკის, მეცნიერების სიახლეების მიდევნებისა და ცოდნის მუდმივად განახლების უნარი
ღირებულებები	იცნობს იურისტის საქმიანობის ეთიკის ფარგლებს. მოწოდებულია, ხელი შეუწყოს ინდივიდთა უფლებების განხორციელებას და იმოქმედოს სამართლიანობის, ადამიანის უფლებების, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების გათვალისწინებით.

სწავლების შედეგების მიღწევის მეთოდები/ფორმატი	
სწავლება მიმდინარეობს ლექცია/სემინარის ფორმატით. სწავლის პროცესში კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები/ხერხები, როგორებიცაა წერითი მუშაობის მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, დისკუსია/დებატების მეთოდი, ჯგუფური მუშაობის მეთოდი, შემთხვევის ანალიზის მეთოდი, ანალიზი და სინთეზი; წიგნზე მუშაობის მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშების მეთოდი, გონებრივი იერიში; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; ევრისტიკული, ახსნა–განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი, აგრეთვე პრაქტიკული მეთოდები და სხვ. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლების შედეგების მიღწევის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.	
სალექციო მეთოდი	ლექცია წარმოადგენს შესასწავლი თემის შესახებ სისტემატიზებული ცოდნის, კონცეფციებისა და თეორიების მომცველი ინფორმაციის სტუდენტური აუდიტორიისათვის სიტყვიერი გადაცემის ეფექტურ მეთოდს.
დისკუსია/დებატები	დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია

	შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.
ჯგუფური მუშაობა	ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხ-დეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.
შემთხვევის ანალიზი	პროფესორი სტუდენტებთან ერთად ლექციაზე განიხილავს კონკრეტულ შემთხვევებს, რომლებიც ყოველმხრივ და საფუძვლიანად შეისწავლიან საკითხს. მაგალითად, კაზუსის ამოხსნა.
გონებრივი იერიში	ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და მისი გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში.
პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება	სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას.
როლური და სიტუაციური თამაშები	წინასწარ შემუშავებული სცენარის მიხედვით განხორციელებული თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედონ საკითხს. იგი ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია,ეს თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს.
დემონსტრირება	ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურ წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტიანია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალა ერთდორულად აუდიო და ვიზულაური გზით მივაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია როგორც მასწავლებლის, ასევე სტუდენტის

	მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს. დემონსტრირება შესაძლოა მარტივ სახეს ატარებდეს.
ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი	სწავლების *ინდუქციური* მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან ზოგადისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას, პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ. სწავლების *დედუქციური* მეთოდი განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ. სასწავლო პროცესში *ანალიზის* მეთოდი გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება. *სინთეზის* მეთოდი გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლების, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.
ახსნა-განმარტებითი	ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას, მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.
ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება	მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

სტუდენტის მიღწევების (ცოდნის) შეფასების სისტემა

სტუდენტთა მიღწევების (ცოდნის) შეფასება ხორციელდება საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებულ ყველა კომპონენტში, რომელშიც სტუდენტს ენიჭება კრედიტი

<u>სტუდენტთა მიღწევათა (ცოდნის) შეფასების სისტემა</u>

- სასწავლო უნივერსიტეტში შემოღებულია სტუდენტთა შეფასების 100-ქულიანი სისტემა. შეფასებათა მაქსიმალური ჯამური ქულა (%) უდრის 100;
- შეფასების სისტემა უშვებს *ხუთი სახის დადებით შეფასებას:* A (91%-100%), B (81%-90%), C (71%-80%), D (61%-70%), E (51%-60%). მაქხიმალური დადებითი შეფასეფა - 100 ქულა, მინიმალური დადებითი შეფასება - 51 ქულა;
- არსებობს*ორი უარყოფითი შეფასება:* FX (41-50%) და F (40% და ნაკლები). ნიშანი FX (ვერ ჩააბარა) ნიშნავს, რომ სტუდენტს გამოცდის ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და მას ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. სტუდენტს აქვს იმავე სემესტრში დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება იმის გათვალისწინებით, რომ დასკვნითი და დამატებით გამოცდებს შორის შუალედი უნდა იყოს არა ნაკლებ 10 დღისა. ნიშანი F (ჩაიჭრა) მიღების შემთხვევაში სტუდენტი ხელმეორედ შეისწავლის სასწავლო კურსს და ჩააბარებს საბოლოო გამოცდას.

ქულა	შეფასება	
91%-100%	A	ფრიადი
81%-90%	B	ძალიან კარგი
71%-80%	C	კარგი
61%-70%	D	დამაკმაყოფილებელი
51%-60%	E	საკმარისი
41-50%	Fx	ვერ ჩააბარა (სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება)
0-40%	F	ჩაიჭრა (სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი).

<u>სასწავლო კურსების შეფასების სისტემა:</u>

სასწავლო კურსების შეფასების მიზანია, ობიექტური და გამჭვირვალე, სასწავლო კურსის სწავლების მიზნებზე და მის სპეციფიკაზე ორიენტირებული კრიტერიუმების გამოყენებით, დაადასტუროს თითოეული სტუდენტის მიერ შესაბასი სასწავლო კურსის სწავლის შედეგების მიღწევა.

სტუდენტის შეფასება ხდება მრავალკომპონენტიანი სისტემით დაითვალისწინებსორ შემადგენელ ელემენტს - შუალედურ შეფასებას და საბოლოო გამოცდის შეფასებებს. თითოეულ ელემენტს აქვს თავისი პროცენტული წილი შეფასების საერთო სისტემაში;

- შემაჯამებელი შეფასება წარმოადგენს შუალედური შეფასების და საბოლო გამოცდის შეფასების ჯამს;
- შუალედური შეფასების ელემენტი დაყოფილია კომპონენტებად (სამუშაო ჯგუფში[2] მუშაობა, შუალედური გამოცდები), რომლებსაც აქვთ თავისი პროცენტული წილი ამ ელემენტის ფარგლებში;
- კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, ხდება შუალედური შეფასების ელემენტში შემავალი კომპონენტების დაზუსტება, სტუდენტის მიერ შეფასების თითოეული კომპონენტისათვის განსახორციელებლი აქტივობებისა და შეფასების წესის დადგენა შესაბამისი სასწავლო კურსის წამყვანი ლექტორის მიერ. შეფასების კომპონენტები და მათი ხვედრითი წილი ასახულია ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში. ინფორმაცია შეფასების სისტემისა და კომპონენტების შესახებ ხელმისაწვდომია სტუდეტნებისათვის.
- შუალედურ შეფასებებში სტუდენტმა შეიძლება დააგროვოს მაქსიმუმ 70 ქულა.
- დასკვნითი გამოცდა სავალდებულოა, შეფასების სისტემაშიმისი ხვედრითი წილი მაქსიმუმ 30 ქულაა.
- დასკვნით გამოცდაზე დაშვების წინაპირობა: გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და საბოლოო გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა, ანუ თუკი დასკვნითი გამოცდით გათვალისიწნებულია მაქსიმუმ 30 ქულიანი შეფასება, სემესტრის განმავლობაში შუალედური შეფასებებით სავალდებულოა მინიმამ 21 ქულის დაგროვება;

სტუდენტის მიერ სასწავლო პროგრამის ფარგლებში ათვისებული ცოდნის ობიექტურად და სრულფასოვნად შეფასებითვის გამოიყენება ისეთი მრავალფეროვანი მეთოდები, როგორიც არის: ქვიზი, ტესტი, პრეზენტაცა, კაზუსი, და სხვა. კონკრეტული სილაბუსში მითითების გათვალისწინებით.

[2] შენიშვნა: სამართლის საგანმანათლებლო პროგრამასა და სილაბუსში გამოყენებული ტერმინი სამუშაო ჯგუფში მუშაოაბა და სემინარი იდენტური ცნებებია,

დასაქმების სფერო
სამართლის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულს - სამართლის ბაკალავრს შეუძლია ძირითადად იმუშაოს საჯარო სფეროში სისხლის სამართლის ან საჯარო სამართლის მიმართულებით. ცალკეული თანამდებობის დასაკავებლად შეიძლება გათვალისწინებული იყოს დამატებითი წინაპირობები ან/და საკვალიფიკაციო გამოცდა.

სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები, რომელიც არ ითვალისწინებს სხვა სპეციალობაში ბაკალავრის აკადემიური ხარისხის საჭიროებას.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი
სამართლის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია შესაბამისი ადამიანური რესურსით. პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კომპონენტებს უძღვება სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი, აგრეთვე სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული სპეციალისტები.